community

The New Apostolic Church around the world

03/2021/GE

ღმერთი ყოველთვის საკმარისად გვაძლევს

რედაქციისგან
ღმერთი ზრუნავს ჩვენზე

ღვთისმსახურება
მივუძღვნათ ღმერთს
ყველაზე მთავარი - გული

დოქტრინა
ღვთის ხატი -კაცი და ქალი
(ნაწილი I)

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ღმერთი ზრუნავს ჩვენზე

ღვთისმსახურება

4 მივუძღვნათ ღმერთს ყველაზე მთავარი - გული

საბავშვო კუთხე

10 ბრმის განკურნება იერიხონთან

12 სტუმრად ზარანგოსთან ერდენეტში (მონღოლეთი)

დოქტრინა

14 ღვთის ხატი -კაცი და ქალი (ნაწილი I)

Global News

18 ქალები ადრეულ ეკლესიაში

Titelfoto: შვეიცარიის ახსე
Rückseitefoto: ცც. შპინდლერი

ღმერთი ზრუნავს ჩვენზე

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო და-ძმანო,

დღეს საკმაოდ უჩვეულო მდგომარეობაში ვიმყოფებით: ხან გვაქვს ღვთისმსახურება, ხან არ გვაქვს ღვთისმსახურება, ხან ვზეიმობთ წმიდა ზიარებას, ხან - არა. ეს ბევრ კითხვას ბადებს - იმდენს, რომ ყველაზე პასუხის გაცემაც კი არ შემიძლია. ერთ-ერთი კითხვა ასე ჟღერს: ნუთუ წმიდა ზიარება აღარ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ადრე იყო? ჩემი პასუხი ამაზე ცხადზე ცხადია: დიახაც, წმიდა ზიარება მნიშვნელოვანია! ის ქრისტეს ეკლესიის საიდუმლოს და, ამდენად, ღვთიურ მადლს წარმოადგენს ჩვენთვის, ადამიანებისთვის.

ამ განსაკუთრებულ დროს ისრაელის ხალხი მინდა გავიხსენო: იმჟამად ღმერთმა თავისი ხალხი უდაბნოში მიიყვანა. იქ არაფერი არ იყო. ღმერთს ადამიანებისათვის მანანა რომ არ მიეცა, დაიხოცებოდნენ. ამ საკითხში ისინი მთლიანად ღმერთის მზრუნველობაზე იყვნენ დამოკიდებულნი. ყოველ დღე აძლევდა ღმერთი მათ მანანას და იმ დღესვე უნდა ეჭამათ იგი. ვინც მეორე დღისათვის შეინახა იგი, ნახა, რომ გაფუჭებულიყო და უგემური გამხდარიყო. მხოლოდ მეექვსე დღეს მისცა ღმერთმა მათ ორმაგი პორცია. ეს იგივე მანანა იყო, მაგრამ ამჟამად მისი მეშვიდე დღისათვის შენახვა და ჭამა შეიძლებოდა. ღმერთს ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ იგი ზრუნავდა მათზე! „როცა გაძლევთ, უნდა აიღოთ. და რასაც გაძლევთ მე, ყოველთვის საკმარისია.“ ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. ჩვენ გვაქვს ნდობა, მაგრამ უნდა ვისწავლოთ, რომ უფრო მეტად მივენდოთ ღმერთს: მის სიყვარულს, მის მზრუნველობას, მის ყოვლისშემძლეობას.

დიახ, ჩვენ გვჭირდება წმიდა ზიარება. და ყოველ ჯერზე გვინდა მივიღოთ იგი, ყოველ ჯერზე, როცა ღმერთი მოგვცემს მას. და თუ ის დაუშვებს, რომ ვერ მივიღოთ იგი, მაშინ იმაზეც იზრუნებს, რომ სეფისკვერმა, რომელიც ბოლოს მივიღეთ, იმდენხანს იმოქმედოს, ვიდრე ახალს არ მივიღებთ. მე ამის მჯერა!

გულითდი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

მივუძღვნათ ღმერთს ყველაზე მთავარი - გული

ამერიკის სამოაში დაახ. 60 000 კაცი ცხოვრობს, უმრავლესობა - დაახ. 98 პროცენტი - ქრისტიანია.

Photos: წყნარი ოკეანის დასავლეთის ახსე

დაბ. 4, 4

„ასევე აბელმაც მიართვა უფალს თავისი ცხვრების პირმშოთაგან და მათი ცხიმიდან. და გადმოხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს.“

საყვარელო ბავშვებო, ჩემო საყვარელო და-ძმანო, მე დიდად მადლობელი ვარ ჩვენი ზეციერი მამისა იმის გამო, რომ მომეცა უფლება, ეს ღვთისმსახურება თქვენთან ერთად განვიცადო და, რომ მამაზეციერის კურთხევის მიღება ყველას შეგვიძლია. მას ჩვენი კურთხევა და განმტკიცება სურს. სულიწმიდის მეშვეობით მას ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის ჩვენი მომზადება უნდა და ამ მომზადებას ორი ასპექტი გააჩნია: ჯერ ერთი, ვისმენთ ღვთის სიტყვას და, მეორეც, სულიწმიდა ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის ყოფით ცხოვრებაშიც გვამზადებს. ჩვენზეა დამოკიდებული იმის შემოწმება, მივაღწიეთ თუ არა გარკვეულ პროგრესს ამ მომზადებაში.

ბავშვებისათვის ერთი ისტორია მაქვს: როცა პატარა ვიყავი და ბაბუაჩემს ვსტუმრობდი, მას ყოველთვის სახლის ერთ კონკრეტულ ადგილას მივყავდი და უნდოდა, რომ იქ კედელთან დავმდგარიყავი. მერე პასტით ხელში მოდიოდა და ჩემს თავს ზემოთ

კედელზე ნიშანს სვამდა. მეორედ რომ მივიდოდი, ზუსტად იგივეს აკეთებდა. ძალიან ამაყობდა, როცა შედეგს დაინახავდა და მაჩვენებდა: „ხედავ, ბოლოს ნიშანი აქ იყო. ახლა კი აქ არის. ცოტა გაიზარდე!“ რამოდენიმეჯერ ცოტა წავიცუღლუტე და უფრო მაღალი გამოვჩნდი. „არა, არა, სწორად დადექი“, მეტყოდა ხოლმე. ჩვენს ზეციერ მამას ზუსტად იგივეს გაკეთება სურს ჩვენთვის. მან ზუსტად იცის, თუ როგორ არის საქმე ჩვენს შემთხვევაში და ჩვენი სულიერი ზრდის შემთხვევაში, მაგრამ მას უნდა, რომ ეს კარგად გავაცნობიეროთ. ამიტომაც ზოგჯერ არ შეისმენს ხოლმე იგი ჩვენს ლოცვებს, არ გვისრულდება სურვილი. შეიძლება ვინმემ გვაწყენინა. ამ დროს მამაზეციერი გვცდის, ზუსტად იგივე რეაქცია გვაქვს წყენაზე, როგორც ორი წლის წინ მსგავს სიტუაციაში, თუ შევიცვალეთ. იგივე რეაქცია გვაქვს, როგორც მაშინ, თუ უფრო მოვმწიფდით ან რაღაც ვისწავლეთ?

> როგორც ქრისტიანებს, ბევრი მიზეზი გვაქვს იმისათვის, რომ მსხვერპლი გავიღოთ ღვთისათვის.

საყვარელო და-ძმანო, როცა შემდგომში რაიმე განსაკუთრებულის განცდა მოგიწევთ, დაფიქრდით ამაზე. იქნებ ღმერთს მხოლოდ იმის ჩვენება უნდა, რომ გაიზარდეთ. ანდა პირიქით, მას უნდა, გავაცნობიეროთ, რომ რეაქცია ისევ ძველებული გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზრდა არ მომხდარა და რამე უნდა გავაკეთოთ ამისათვის. იცით, როცა ვინმე რაიმე საწყენს მეტყვის და მე კვლავაც იგივე რეაქცია მექნება, როგორც ორი წლის წინ, მაშინ აუცილებელია, რომ რამე შევცვალო, რადგან რაღაც არასწორად მიდის ჩემში.

ჩვენი დღევანდელი ბიბლიური ციტატა კაენისა და აბელის ისტორიიდან არის აღებული. ეს ისტორია თქვენ კარგად იცით. ორივე, კაენი და აბელი, ადამისა და ევას პირველი შვილები იყვნენ. კაენი მიწის მუშაკი იყო, აბელი კი - მწყემსი. ერთ დღესაც ორივემ ღვთისათვის ძღვენის მირთმევა მოისურვა. კაენმა მიწის ნაყოფი მიართვა, აბელმა კი - ცხვარი. ღმერთმა ჯერ ადამიანებს შეხედა, მერე - მირთმეულ ძღვენს. და როცა დაინახა, თუ როგორი გულით მიართვეს, მიხვდა: „ო, კაენის გული წრფელი არ არის.“ რამეთუ მისი ძღვენი მის გულშინადებს ასახავდა. კაენმა ღმერთს მიწის ნაყოფი მიართვა, აბელმა კი „თავისი ცხვრების პირმშოები“ - ყველაზე საუკეთესო, რაც კი გააჩნდა. ის, რაც აბელისათვის საუკეთესო იყო, საკმაოდ კარგი იყო ღვთისათვისაც. ამიტომაც მოწყალედ მოჰხედა ღმერთმა აბელის ძღვენს და აკურთხა იგი.

მსხვერპლშეწირვის თემას დიდი ხნის ტრადიციები და საკმაოდ რთული ისტორია გააჩნია. ძველი აღთქმის პერიოდში მორწმუნენი მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთს და შესაწირი მიჰქონდათ მასთან მისთვის პატივის მისაგებად. შესაწირი მასთან იმის საჩვენებლადაც მიჰქონდათ, რომ იგი იყო ყოვლისმომნიჭებელი: „ის, რაც გვაქვს, არც რომელიმე ღვთებას მოუცია და არც ჩვენი შრომის შედეგია, არამედ ყოვლისშემძლე ღმერთი გვანიჭებს ყველაფერს; ის იმას გვაძლევს, რაც გვჭირდება.“

ისინი პატივს მიაგებდნენ ღმერთს, იცოდნენ რა, რომ ყოვლისშემძლე იყო იგი; ყოველივე ღვთისგან მოდის. ისინი მსხვერპლს სწირავდნენ და შესაწირი მიჰქონდათ მასთან, რამეთუ მადლიერება გამოეხატათ ყოვლისმომნიჭებლის მიმართ. იუდეველები ღმერთს მადლობას ამქვეყნიური საბოძვარისათვის უხდიდნენ, მაგრამ განსაკუთრებით გადარჩენისთვის, ვინაიდან

ამერიკის სამოაში ორი ახალსამოციქულო თემია დაახ.
200 წევრით, მათზე თერთმეტი მღვდელმსახური ზრუნავს.

ყოვლისშემძლემ ისინი ეგვიპტის მონობიდან იხსნა. ებრაელები მადლობას უხდიდნენ ღმერთს იმისათვისაც, რომ მან ეს მცირერიცხოვანი, სუსტი ხალხი თავის ერად აირჩია. ეს უდიდესი რამ იყო, აი, ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ სამადლობელო მსხვერპლს: „ღმერთმა გვიხსნა, ღმერთმა ამოგვირჩია.“

მაგრამ მსხვერპლშეწირვა უფრო მეტს მოიცავდა, ვიდრე მხოლოდ თაყვანისცემას და მადლიერებას. მსხვერპლშეწირვის დროს ზოგჯერ დაკლულ პირუტყვს სწირავდნენ მას. შეწირული პირუტყვის ნაწილს წვავდნენ - ეს ღმერთისთვის იყო - დანარჩენს კი ერთად მიირთმევდნენ, რაც შემდეგს ნიშნავდა: „ჩვენ ღმერთთან გვაქვს ერთობა, ერთად ვჭამთ.“ მათ ეს ასე ესმოდათ: „ჩვენ ღმერთთან ვიზიარებთ საჭმელს. ის თავის ნაწილს იღებს, ჩვენ - ჩვენსას და, ამდენად, თანაზიარება გვაქვს მასთან; ჩვენ ერთნი ვართ.“

ეს იყო მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებული კარგი პოზიცია: ჩვენ ერთნი ვართ; ჩვენ ერთად ვჭამთ; ღმერთი თავის წილს იღებს, ჩვენ - ჩვენსას. მოსემ ხალხს უთხრა: „თქვენ ცოდვილები ხართ, თქვენ არ ძალგიძთ, დაემორჩილოთ ღმერთს.“ ამდენად, ღმერთთან შესარიგებლად შესაწირი უნდა გაეღოთ. შესაწირით ისინი საკუთარ დანაშაულს აღიარებდნენ: „ჩვენ ცოდვილები ვართ, მიტევება გვჭირდება. გთხოვთ, მოგვიტევო, გთხოვთ, იყავ მოწყალე ჩვენს მიმართ.“

და ბოლო პუნქტი: თუ ხალხს განსაკუთრებული დახმარება სჭირდებოდა, ლოცულობდნენ და განსაკუთრებულ მსხვერპლს სწირავდნენ იმის იმედით, რომ ღმერთი შეიწყნარებდა მათ ლოცვას, აკურთხებდა და დაეხმარებოდა.

მაშასადამე, ასეთი იყო შესაწირისა და მსხვერპლის გაღების მნიშვნელობა ძველი აღთქმის ეპოქაში. ღვთისათვის პატივის მიგება ხალხს ასე უნდოდა. მათ მადლობის გადახდა სურდათ მისთვის. ცოდვების მიუხედავად მასთან თანაზიარება და შერიგება უნდოდათ. ისიც უნდოდათ, რომ ღმერთს შეესმინა მათი ლოცვები.

მოდით, მტკიცე თანაზიარება გვქონდეს იესოსთან!

დიდი ცვლილება ახალი აღთქმის ეპოქაში იყო ის, რომ იესომ, ღვთის ძემ, მსხვერპლად გაიღო თავი. თავისი მსხვერპლის წყალობით მან ღმერთთან შეარიგა ადამიანები და ყველა, ვისაც სწამს მისი და მისდევს მას, გადარჩება. მაშასადამე, გადასარჩენად ახალი მსხვერპლის აუცილებლობა აღარ არსებობს. იესო ქრისტეს მსხვერპლი სრულყოფილია და მუდმივმოქმედი ყველასათვის, ვისაც სწამს მისი. ე. ი., არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ გამოსყიდვის მიზნით მსხვერპლი კიდევ იქნას გაღებული. მაგრამ მსხვერპლის გასაღებად ბევრი სხვა მიზეზიც არსებობს. ღმერთს მსხვერპლს მის სადიდებლად და მადლიერების გამოსახატავად ვწირავთ. როცა მსხვერპლს ვწირავთ, ამით ვაღიარებთ, რომ მთლიანად ყოვლისშემძლე ღმერთზე ვართ დამოკიდებულნი. ყოველივე, რაც გაგვაჩნია, ღვთისგან მოდის, ის არის ყოვლისმომნიჭებელი.

ჩვენ გვწამს შემოქმედის. გვწამს, რომ ყოველივე მისგან მოდის. ჩვენ მთლიანად ღმერთის წყალობაზე ვართ დამოკიდებულნი. ამდენად, ჩვენს მიერ გაღებული მსხვერპლი, უპ. ყოვლისა, ჩვენი რწმენის აღმსარებლობას წარმოადგენს. ჩვენ გვწამს მამა-ღმერთის.

ის გვამარაგებს იმით, რაც ამქვეყნად გვჭირდება და ჩვენ მადლობლები ვართ ამ საბოძვარისთვის. ჩვენი მსხვერპლი კი ღვთისადმი მადლიერების გამოხატულებაა. მაშასადამე, როცა მსხვერპლს ვიღებთ, ამით მადლობას ვუხდით მას ამქვეყნიური

ღვთისმასახურებას 168 ადგილობრივი მორწმუნე ესწრებიდა.



საბოძვარისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ეს წყალობაა. ღმერთი არ არის იძულებული, მოგვცეს ის, რაც გვჭირდება. ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებსაც გაცილებით ნაკლები აქვთ, ვიდრე ჩვენ, თუმცა ისინიც ზუსტად იმდენს იმსახურებენ, რასაც ჩვენ. ასე, რომ მსხვერპლს ღვთისათვის, ყოვლისმომნიჭებლისათვის, მადლობის გადასახდელად ვიღებთ.

მადლობას ვუხდით ღმერთს გამოსყიდვისთვის, რომელიც მან გვიწყალობა. მადლობას ვუხდით იესოს მის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერპლისათვის. მადლობას ვუხდით ღმერთს იმისათვის, რომ თავის შვილებად ამოგვირჩია. მადლობას ვუხდით ღმერთს გამოსყიდვისათვის და სულიერ მსხვერპლს ვწირავთ მას. ჩვენ აღარ ვწვავთ ცხვრებს.

როცა მოვინათლეთ და სულიწმიდით აღვიბეჭდეთ, ჩვენი სიცოცხლე მივუძღვენით მას. სულიწმიდით აღვიბეჭდვის ან კონფირმაციის დროს ვთქვით: „ახლა მე შენ გეკუთვნი. მე შენი ვარ.“ ღმერთს ასეთი პირობა მივეცით: „შენ გადამარჩინე; შენ გწირავ ჩემს სიცოცხლეს.“ მადლიერებას სულიერი მსხვერპლის გაღებით გამოვხატავთ.

სულიერი მსხვერპლია ის, როცა მოყვასს სიკეთეს ვუკეთებთ ანდა გაჭირვებულ ადამიანებს ვეხმარებით. ჩვენს მიერ მათთვის სულიერი სიმდიდრის გაზიარება არის მსხვერპლი, რომელიც ღმერთს ესათნოება. გამოსყიდვისათვის ღმერთს მადლობას იმით ვუხდით, რომ სიკეთეს ვაკეთებთ და ვეხმარებით სხვებს, ვუზიარებთ მათ ჩვენს სულიერ სიმდიდრეს. ღმერთს ამ გზით ვუხდით მადლობას ამქვეყნიური საბოძვარისთვის, იმისათვის, რაც ყოფაში გვჭირდება. მადლობას ვუხდით ღმერთს გამოსყიდისთვის, რომელსაც იგი გვწყალობს, და მადლობლები ვართ მისი ყველაფრისთვის, რასაც მის ეკლესიაში განვიცდით.

ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრს ნიშნავს ის, რომ წმიდა ზიარების ჩატარება შეგვიძლია, რომ თემის ნაწილი ვართ, რომ ჩვენ და ჩვენს შვილებს რწმენაში გვმოძღვრავენ, რომ მშვენიერ და ლამაზ ეკლესიაში შეკრება შეგვიძლია, რომ ძმები გვყქვს, რომლებსაც ქადაგება ავალიათ, და რომ დრო და დრო მოციქული გვსტუმრობს ხოლმე. ჩვენ მადლობლები ვართ, ვინაიდან ეს ყოველივე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. და მსხვერპლსაც იმიტომ ვწირავთ, რომ ეკლესიას დავეხმაროთ.

ჩვენი სურვილია, რომ ჩვენი ეკლესია ფუნქციონირებდეს. მაშასადამე, მადლიერების გამოხატვა იმგვარად შეგვიძლია, რომ გავიღოთ შესაწირი და გავიღოთ სულიერი მსხვერპლი, რამეთუ ღმერთს მადლი შევწიროთ ამქვეყნიური საბოძვარისთვის, ჩვენი გამოსყიდვისა და ეკლესიისათვის.

ჩვენ გვახსოვს, რომ იუდეველები მსხვერპლს იმიტომ სწირავდნენ, რომ თანაზიარება ჰქონოდათ ღმერთთან. ჩვენი უდიდესი სურვილი იესო ქრისტესთან სრული თანაზიარების ქონაა. ხოლო ქრისტესთან თანაზიარება რომ გვქონდეს, ყველაფერზე უნდა ვთქვათ უარი, რაც იესოსთან თანხმობაში არ მოდის, ე. ი. იმაზე, რამაც ღმერთთან თანაზიარებაში შეიძლება შეგვიშალოს ხელი. შეიძლება გარკვეული აზრი გვაქვს, მაგრამ ეს ჩვენი აზრია. იმაშიც დარწმუნებულნი ვართ, რომ ის სწორია. მაგრამ დროთა განმავლობაში ვხვდებით, რომ იესოს განსხვავებული აზრი აქვს. ამ კონკრეტულ პუნქტში ერთმანეთს არ

ვეთანხმებით. და რადგან გვინდა, რომ იესოსთან ერთნი ვიყოთ, ვთმობთ ჩვენს აზრს. უარს ვამბობთ მასზე. შეიძლება რაიმე სურვილი გვაქვს, მაგრამ ღმერთი არ რეაგირებს მასზე. ჩვენ კი ღმერთთან ერთობა გვინდა. ეს პასუხგაუცემელი სურვილი დაბრკოლებად შეიძლება იქცეს ღმერთთან თანაზიარებაში და ამიტომაც ვთმობთ მას და ღმერთს ამას ვეუბნებით: „კარგი, თუ ეს არ არის შენი ნება, მაშინ შვურიგდები შენს ნებას. ჩემთვის შენთან ერთობაა მნიშვნელოვანი.“ ეს ის სულიერი მსხვერპლია, რომელიც ღმერთთან ჩვენს თანაზიარებას ანმტკიცებს და აძლიერებს. ჩვენ უარს ვამბობთ ყველაფერზე, რაც დაბრკოლებად შეიძლება გვექცეს ღმერთთან თანაზიარებაში.

ღმერთთან შესარიგებლად ებრაელებს მსხვერპლი უნდა გაეღოთ. ქრისტეს მსხვერპლის წყალობით მიტევების მისაღწევად მსხვერპლის გაღება აღარ გვჭირდება. მაგრამ იესოს უნდა, რომ ჩვენც დავთომთ რაიმე, რათა მიტევებას მივაღწიოთ. მას სურს, რომ ბრალდებებს და საყვედურებს მოყვასის მიმართ თავი დავანებოთ. მას სურს, შევწყვიტოთ ეს მუდმივი დადანაშაულებანი. მას უნდა, რომ უარი ვთქვათ შურისძიების განზრახვაზე. მისი სურვილია, გავითვალისწინოთ, რომ ღვთის მიერ ცოდვილის დასაჯა ამქვეყნად აუცილებელი არ არის. მას სურს გავითვალისწინოთ, რომ მიტევება ცოდვილისათვის, დამნაშავესათვის, შესაძლებელია.

ყოველთვის არ არის იოლი, უარი ვთქვათ ჩვენს წარმოდგენაზე ადამიანურ სამართალთან მიმართებაში. მაგრამ იესო გვეუბნება: „თუ გინდა, რომ მოგიტევო, მზად უნდა იყო იმისათვის, რომ თავადაც მიუტევო მოყვასს. შეწყვიტე მისთვის საყვედურებისთქმა.შეწყვიტემისიდადანაშაულება. ნუ განიზრახავ შურისძიებას.“ ესეც სულიერი მსხვერპლია, რომელიც უნდა გავიღოთ, რათა მიტევებას მივაღწიოთ. შემდეგ კი, და-ძმანო, ხდება ისეც, რომ განსაკუთრებული თხოვნა გვიჩნდება. შეიძლება საკუთარი თავისთვის გვინდა რაღაც ანდა მოყვასისთვის ვითხოვთ რაიმეს, ან საიქიოში მყოფ სულებს ვშუამდგომლობთ. ბევრი და-ძმა ვიცი, რომლებიც ასე ფიქრობენ: „ჰო, ვლოცულობ და განსაკუთრებულ მსხვერპლსაც ვწირავ.“ რა დგას ამის უკან? ცხადია, ღვთის შემწეობას ვერ ვიყიდით. მილიარდი დოლარიც რომ შევწირო, ვერ ვაიძულებ ღმერთს, შემისრულოს სურვილი და ვერ მოვახვევ მას ჩემს ნებას. ღმერთს არ აინტერესებს ჩემი ფული. მას ის არ სჭირდება. მე ვერ ვიყიდი ღვთის კურთხევას, ვერც ღვთის შემწეობას დავიმსახურებ.

სამხ. მოციქული პეტერ შულტე

მაშ, რატომ იქცევიან და-ძმანი ასე? რატომ სწირავენ განსაკუთრებულ მსხვერპლს, როცა რაღაცას ითხოვენ? ამით ღვთისათვის იმის ჩვენება უნდათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ეს თხოვნა, თუ რამდენად გულთან ახლოს მიაქვთ მოყვასის კეთილდღეობა. მაშასადამე, ჩვენს მიერ გაღებული მსხვერპლი ავსებს ჩვენს ლოცვას და იმაზე მიუთითებს, რომ ეს თხოვნა ნამდვილად რაღაცას ნიშნავს ჩვენთვის, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, ეს ნდობის ნიშანიც არის. ჩვენს მიერ გაღებული მსხვერპლით მადლობა გვინდა გადავუხადოთ ღმერთს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი ჩვენს ლოცვას უპასუხებს. ასევე ამით იმის დამტკიცება გვინდა, რომ ღვთის კეთილ ნებას ვენდობით: „მე ვენდობი შენს სიყვარულს, მე ვენდობი შენს კეთილ ნებას. შენ ზუსტად იმას მომცემ, რაც მჭირდება. საჭირო მომენტში სწორად მოიქცევი. და ამისათვის წინასწარ გიხდი მადლობას.“ ამით ღვთისადმი ჩვენს ნდობას გამოვხატავთ: „მე გენდობი შენ. შენ დამეხმარები და, რაც არ უნდა გააკეთო, საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება ჩემთვის.“

როგორც ხედავთ, როგორც ახალსამოციქულო ქრისტიანებს, ჩვენც ბევრი მიზეზი გვაქვს ღვთისათვის შესაწირის და სულიერი მსხვერპლის გასაღებად. ამით ჩვენ ყოვლისშემძლე ღმერთისა და შემოქმედისადმი რწმენას ვაღიარებთ. მადლობას ვუხდით მას დახმარებისათვის ყოფაში და ამისათვის

თემი ზეიმობს წმიდა ზიარებას განსვენებულთათვის.

მსხვერპლს ვწირავთ. ჩვენი სულიერი მსხვერპლით ვუხდით მას მადლობას გამოსყიდვისათვის. ვცდილობთ, გავაკეთოთ სიკეთე, დავეხმაროთ გაჭირვებულებს და გვინდა, რომ ჩვენი სულიერი სიმდიდრე სხვებსაც გავუზიაროთ. მადლობას ვუხდით ღმერთს, რომ ეკლესიის ნაწილი ვართ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ეკლესიას და ვწირავთ მსხვერპლს. მოდით, მტკიცე თანაზიარება გვქონდეს იესოსთან და ამიტომ უარი ვთქვათ ყველა იდეაზე და ყველაფერზე, რაც ამ თანაზიარებისთვის დაბრკოლებად შეიძლება იქცეს. ცოდვები რომ მოგვეტევოს, ამისათვის უარს ვამბობთ ჩვენს წარმოდგენაზე შურისძიებასა და სასჯელზე. ასევე ვწყვეტთ მოყვასის დადანაშაულებას და გაკიცხვას. და თუ მოვინდომებთ, შეიძლება ლოცვასთან ერთად მსხვერპლიც გავიღოთ - და არა შემწეობის საყიდლად, არა იმისათვის, რომ ღმერთს ჩვენი ნება მოვახვიოთ თავს, არამედ იმის საჩვენებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს სურვილი და, რომ ვენდობით მას: „რაც არ უნდა გააკეთო, ჩვენ მაინც მადლობლები ვართ შენი. შენ სწორად მოიქცევი.“ ღმერთი ჯერ ადამიანს უყურებს და მერე მის მიერ გაღებულ მსხვერპლს. თუ წრფელი გულით გავიღებთ შესაწირს და მსხვერპლს, ის აკურთხებს მათ. მთავარი ჩვენი გულია და არა შესაწირი. იესომ ცხადყო, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც დიდი საქმეები გააკეთეს, მაგრამ არა გულწრფელად. ამიტომაც უთხრა: „არ გიცნობთ.“

მეორე მხრივ, თუ გულწრფელები ვიქნებით, ღმერთს არ ვეტყვით: „იმას მოგცემ, რაც მომრჩა.“ ვინაიდან ღმერთი ჩვენთვის უპირველესი პრიორიტეტია. ვერ ვეტყვით ღმერთს: „უი, ახლა ფული არ მაქვს. ვწუხვარ, მაგრამ ვერაფერს შემოგწირავ. ოი, ძალიან დაკავებული ვარ, დრო აღარ მაქვს, რომ გემსახურო.“ ეს არ მუშაობს. გაიხსენეთ აბელი. მას სწორი დამოკიდებულება ჰქონდა. ის, რაც აბელისათვის საუკეთესო იყო, საკმაოდ კარგი იყო ღვთისთვისაც. ღმერთი ერთგულია. ის აკურთხებს ყველა მსხვერპლსა და შესაწირს, რასაც მთელი გულით გავიღებთ. ჩემი სურვილია, რომ ყველამ გამოვცადოთ ეს. ამინ.

ძირითადი აზრები

ჩვენი მსხვერპლითა და შესაწირით თაყვანს ვცემთ ღმერთს, გამოვხატავთ ჩვენს მადლიერებას და ნდობას, ასევე მასთან თანაზიარებისკენ და მიტევებისკენ სწრაფვას.

ბრმის განკურნება იერიხონთან

მარკ. 10, 46-52-ის მიხედვით

იესო ასწავლიდა ხალხს, კურნავდა სნეულებს და მკვდრებს აცოცხლებდა. როცა მოწაფეებთან ერთად ქალაქი იერიხონი დატოვა, ბევრი გაჰყვა მას.

გზის პირას ერთი ბრმა მათხოვარი იჯდა; მას ბარტიმეოსი ერქვა. როცა გაიგონა, რომ იესო ნაზარეველი მოდიოდა, ყვირილი დაიწყო: „იესო, დამეხმარე! შემიწყალე!“
მის გარშემო მყოფები გაჩუმებას აიძულებდნენ. მაგრამ ბარტიმეოსი უფრო ხმამაღლა აყვირდა: „იესო, დამეხმარე! შემიწყალე!“



ამ დროს შედგა იესო და თქვა:
„დაუძახეთ მას!“
ხალხმა დაუძახა ბრმას და უთხრა:
„ნუ გეშინია, ადექი! იესო გეძახის!“
ბარტიმეოსმა მოსასხამი
გადაიგდო, წამოხტა და იესოსთან
მივიდა. მან კი ჰკითხა მას: „რა
გინდა? რა გაგიკეთო?“
ბრმამ მიუგო: „მოძღვარო, მინდა,
რომ თვალები ამეხილოს.“
იესომ უთხრა: „შენმა რწმენამ
გიხსნა.“
ბარტიმეოსს თვალები აეხილა და
იესოს გაჰყვა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 08/2020; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ზარანგოსთან ერდენეტში (მონღოლეთი)



გამარჯობათ, მე მქვია ზარანგო. ამ სურათზე ხედავთ, თუ როგორი ვიყავი პატარა.

რამოდენიმე წლის შემდეგ სკოლაში წავედი. ეს სურათი ჩემს ოჯახთან ერთად სკოლის წინ არის გადაღებული.

ახლა რვა წლის ვარ და მესამე კლასში დავდივარ. ჩემს კლასში 38 მოწაფეა. ამ ფოტოზე ჩანს, თუ როგორ გამოვდივარ სასკოლო ზეიმის ერთ-ერთ წარმოდგენაზე,

... ამ სურათზე კი შობა ჩანს საშობაო ნაძვის ხით.

აქ ჩემს მშობლებს ხედავთ. იცოდით, რომ ჩვენ, მონღოლი ბავშვები, მშობლებს თქვენობით მივმართავთ? აქ ასეა მიღებული. მე ოთხი და-ძმა მყავს: ჩემზე უმცროსი და ჩემზე უფროსი ძმა და ჩემზე უმცროსი და ჩემზე უფროსი და.

ჩემი პატარა და ძალიან საყვარელია, მე ასე მგონია. ზაფხულის არდადეგების დროს ჩემს უმცროს და-ძმებს მე ვპატრონობ.



ჩვენ მონღოლეთში ვცხოვრობთ. ჩვენს ქვეყანას ორი მეზობელი ქვეყანა ჰყავს - ჩრდილოეთით რუსეთი და სამხრეთით ჩინეთი. ჩინეთი და რუსეთი ერთმანეთს მაგისტრალითა და ტრანს-მონღოლური რკინიგზით უკავშირდებიან, რომელიც ჩვენს ქვეყანაზე გადის. ჩვენ ერდენეტში ვცხოვრობთ. ის დედაქალაქ ულან-ბატორის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქია მონღოლეთში. ჩვენი ქალაქი ძალიან სუფთაა.



ერდენეტში სპილენძის დიდი საწარმო და ხალიჩების ფაბრიკაა. აქ არის ახალსამოციქულო თემიც, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით. ჩვენ ყველას გვწამს იესოსი და გვიყვარს იგი.

ჩვენთან თემში ხანდახან ბავშვთა გუნდიც გალობს.



კიდევ რა მოგიყვეთ? ჩემი საყვარელი საჭმელი გულიაშია.

გარდა ამისა, წიგნების კითხვაც მიყვარს. ამ დროს ბევრ სიახლეს ვეცნობი. გაგიგონიათ ჩინგის ხანის შესახებ? შუასაუკუნეებში მან იმ მონღოლი ხალხების გაერთიანება მოახერხა, რომლებიც მანამდე ერთმანეთთან ომობდნენ. მან და მისმა მემკვიდრეებმა უზარმაზარი ტერიტორია დაიპყრეს, რომელიც ჩინეთიდან ევროპამდე იყო გადაჭიმული. მმონღოლთა ჯარები ვენამდეც კი მივიდნენ. ამბობენ, რომ იმჟამად მონღოლეთის იმპერია ყველაზე დიდი იყო მსოფლიოში.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 08/2020 წ.; ფოტოები: ბორჯი; ©oyuna; ©GreenArt - stock.adobe.com; wikipedia.org

ღვთის ხატი -კაცი და ქალი (ნაწილი I)

ღმერთს არ უნდოდა, რომ ერთი სქესი მეორეს დაქვემდებარებოდა, ვინაიდან თანაბრად შექმნა ისინი ღვთის ხატად. კატეხიზმო ამას მოკლედ ეხება. სამხ. მოციქულთა კრების მიერ მიღებულ სახელმძღვანელო წერილში ნათლად ჩანს, თუ რას წარმოადგენს ღვთისხატობა.

კატეხიზმოში იმაზეა ლაპარაკი, რომ ადამიანი ღვთის ხატია, და თან ასეთი განმარტებაა მოცემული: „კაცი და ქალი თანაბრად წარმოადგენს ღვთის ხატს, ამდენად, ორივეს ერთი და იგივე არსი აქვს. ისინი არა მხოლოდ ერთად, არამედ ერთმანეთისთვისაც შეიქმნენ და ერთი და იგივე მისია დაეკისრათ: „იბატონონ“ დედამიწაზე, კერძოდ, გაანაშენიანონ იგი და შეინარჩუნონ“ (კატ. 3. 3.2).

კატეხიზმო მოკლედ ეხება თემას „კაცი და ქალი - ღვთის ხატი“. ეს მნიშვნელოვანი თეოლოგიური კონტექსტი ქვემოთ მოყვანილმა დამატებითმა ახსნა-განმარტებებმა უფრო უნდა შეავსოს. ამასთანავე იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ ადამიანის, როგორც ღვთის ხატის (Imago Dei), შესახებ გამონათქვამებს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება თვითონ ადამიანისა და შემოქმედების წიაღში მისი მისიის გაგებისათვის. გარდა ამისა, ღვთისხატობა შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ადამიანის ღირსების არსებითი ბიბლიური საფუძველი - ე. ი., როგორც ყველა ადამიანის, მიუხედავად სქესისა, თანასწორობისა და იდენტური ღირსების ბიბლიური საფუძველი. ქვემოთ, პირველ რიგში, ის ბიბლიური ტექსტები იქნება დეტალურად განხილული, სადაც საერთოდ ადამიანის ღვთისხატობაზე და მასზე დაფუძნებული კაცისა და ქალის ურთიერთობაზეა ლაპარაკი. 2-ე ნაწილში, ბიბლიურ მონაცემებზე დაყრდნობით, დაზუსტებული იქნება კატეხიზმოს გამონათქვამები.

ორივე ცნობა შესაქმეს შესახებ, რომლებსაც დაბ. 1, 1-2, 4-ში და დაბ. 2, 4-3, 24-ში ვხვდებით, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს თეოლოგიურ საფუძველს იმისათვის, რომ ადამიანზე, როგორც ქმნილებაზე, ისე ვილაპარაკოთ. იმ დროს, როდესაც შესაქმეს შესახებ პირველი ცნობა უფრო აბსტრაქტული ჩანს, შესაქმეს შესახებ მეორე ცნობას, სადაც უფრო დეტალურად განვიხილავთ დაბ. 2, 4-25-ს, აშკარად თხრობითი ხასიათი აქვს.

პირველი ცნობა შესაქმეს შესახებ

გამონათქვამი, რომ ადამიანი ღვთის ხატია, დაბ. 1, 26. 27-ს ეფუძნება. გარდა ამისა, ადამიანის ღვთისხატობაზე ლაპარაკი დაბ. 5, 1. 2-სა და დაბ. 9, 6-შიც არის. ძველი აღთქმის მკვლევარი ანდრეას შიულეშენიშნავს, რომ „ღვთისხატი“ „ისტორიულად შეიძლება ძველი აღთქმის ყველაზე მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენდეს საერთოდაც“. შესაქმეს შესახებ პირველ ცნობაში (დაბ. 1, 2-2,4) ღმერთი იმად არის ნაჩვენები, ვინც ექვს დღეში - ე. ი. დროის მონაკვეთში - რეალობა მხოლოდ თავისი სიტყვით ჩამოაყალიბა და მოაწესრიგა. ნაჩვენებია, რომ ყველაფერს, რაც არსებობს, ღვთის სიტყვას უნდა ვუმადლოდეთ. შემოქმედების უკანასკნელ ფაზაში - მეექვსე დღეს - ის „ცოცხალი არსებანი“ შექმნა მან პირველად, რომლებიც მიწაზე ბინადრობენ (დაბ. 1, 24. 25). მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ცხოველი უკვე სახეზე იყო, ღმერთი ადამიანის შექმნას შეუდგა:

„და თქვა ღმერთმა: ‘შევქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად. და ბატონობდეს თევზებზე ზღვაში და ცის ფრინველებზე, და პირუტყვზე მთელს ქვეყანაზე, და ყოველ ქვეწარმავალზე, რომელიც იძვრის მიწაში.’ და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად - ღვთის ხატად შექმნა იგი. და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად. და აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ ღმერთმა: ‘ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას; და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე, და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს“ (დაბ. 1, 26-28).

ადამიანის შექმნა განსხვავდება ყველა

დანარჩენისგან. ეს იმაშიც ვლინდება, რომ ნეიტრალური ფორმით კი არ არის ნათქვამი: „იყოს ... “, როგორც ეს სხვა შემოქმედებითი საქმეების შემთხვევაში იყო, არამედ, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავისადმი მიმართვის ფორმით: „შევქმნათ ადამიანი ... “. დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ეს წინადადება განმარტებულია როგორც ღმერთის სამერთობაზე მითითება: სამივე ღვთიური პირი თანაბრად შემოქმედია (შევ. კატ. 2. 4. 1 და 3. 2. 1). საკუთარი თავისადმი მოწოდება: შექმნას ადამიანი, გავრცობილია და, შეიძლება ითქვას, იმით გაძლიერებული, რომ ღმერთი თავის თავს ადამიანთან უშუალო ურთიერთობაში აყენებს, ვინაიდან ის მისი „ხატი“ უნდა გახდეს, მის „ხატად“და მის „მსგავსად“. ამით ღმერთი საკუთარ თავს ადამიანთან ურღვევ ურთიერთკავშირში აყენებს, ასევე ადამიანი, თავის მხრივ, ღმერთთან ურღვევ კავშირს ამყარებს.

ადამიანის ღვთისხატობის ერთი მნიშვნელოვანი შედეგი შექმნილ სამყაროზე ბატონობაა - ცხოველებზე და დანარჩენ ქმნილებებზე. „შეიძლება იქიდან გამოვიდეთ, რომ ეს ისეთი ბატონობა უნდა იყოს, რომელიც იმ ღვთიური საქმეების შესატყვისი იქნება, რომელთა მიზანიც წესრიგის დამყარება და შენარჩუნებაა, მაშასადამე, იგი არ აკანონებს ადამიანის ტირანიას ამქვეყნიურ სამყაროზე.“ ღმერთის წარმომადგენელი მის შემოქმედებაში ადამიანია და, როგორც ღვთის ხატი, იგი მის არსს წარმოაჩენს ამქვეყნიურ სამყაროში და ქმნილებების წინაშე. ის „ღმერთის ნაცვალია დედამიწაზე“ და „შემოქმედების განმგებელი“1.

ფსალმ. 8, 6. 7-ში მოცემულია იმის მცდელობა, რომ ადამიანის განსაკუთრებულობა დანარჩენ შემოქმედებასთან მიმართებაში შემდეგი სიტყვებით შეჯამდეს: „ბევრად არ დაგიმცირებია იგი ანგელოზებზე; დიდება და ღირსება დაადგი გვირგვინად. გააბატონე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე; ყოველივე მას დაუმორჩილე.“

ამის შემდეგ დაბ. 1, 27-ში ღმერთმა განახორციელა ის, რაც განიზრახა: მან შექმნა ადამიანი მის „ხატად“, კერძოდ, როგორც „კაცისა და ქალის მრავლობითობის ერთეული“2. თავიდან ცნება „ადამიანი“ გამოყენებულია როგორც „სახეობის აღმნიშვნელი“, მისი შინაარსობრივი დაკონკრეტება ბიოლოგიური კლასიფიკაციით მოხდა: „კაცი და ქალი“. მაშასადამე, ღვთის ხატად შექმნილ ადამიანს თავიდან და სუბსტანციურად ორივე სქესი განეკუთვნება. „კაცი და ქალი ერთად ღვთის დიდებას ასახავენ, ღვთიურ შემოქმედებას ორივე ერთად აგრძელებს [...] თავისზე მაღლა ის [ადამიანი] მხოლოდ ღმერთს აყენებს. ამდენად, იგი ღმერთსა და ამქვეყნიურ სამყაროს შორის დგას.3“ კაცი ან ქალი - ე. ი. „ადამიანი“ - თანაბრად წარმოადგენს ღვთის ხატს, ორივე იდენტურად, კერძოდ, უშუალოდ და უცილობლად დამოკიდებულია ღმერთზე. ამიტომაც კაცსა და ქალს - რომლებიც „ადამიანები“ არიან - ერთი და იგივე დავალება აკისრიათ შემოქმედებაში, კერძოდ, „იბატონონ“ და იყვნენ ღმერთის წარმომადგენლები შემოქმედებაში. გარდა ამისა, „მრავლობითობის ერთეული“ იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი თავისი ეგოცენტრიზმით და თავად არჩეული იზოლაციით ვერ შეძლებს იცხოვროს ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით, ე. ი. იყოს ღვთის ხატი. „მრავლობითობის ერთეულის დაკონკრეტება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა შენ-ზე გადასვლა ორმხრივად ხდება“3. მაშასადამე, კაცი და ქალი, ქალი და კაცი ერთ მთლიანობას წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანი თავიდანვე ერთობისკენ არის მიდრეკილი.

ღმერთი აკურთხებს კაცსა და ქალს, მიმართავს მათ და დავალებას აძლევს: „ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას“. ადამიანს მიეცა ბრძანება, გამრავლდეს, რამეთუ ისტორიის განვითარების მანძილზე მასზე დაკისრებული დავალების შესრულება შეძლოს: წარმოადგინოს ღმერთი შემოქმედებაში. შიულე მიუთითებს იმაზე, რომ დაბ. 1, 28-ში („დაეუფლეთ მას“) მოცემული ერთგვარად აგრესიული ტერმინოლოგია დაბ. 9, 6-12-ის კონტექსტში უნდა წავიკითხოთ: ადამიანისათვის მიცემული „ბატონობის“ დავალების მიზანი „ძალადობისათვის ხელშეშლა და მისი ჩახშობაა.“ 1

დაბ. 1, 27, 28-ის ტერმინოლოგია დაბ. 5, 1. 2-შიც არის გამოყენებული და, შეიძლება ითქვას, ისტორიული განვითარების წინაპირობად არის აღებული: „ეს არის ადამის შთამომავლობის წიგნი: როცა ღმერთმა შექმნა ადამი, ღვთის მსგავსად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი, და აკურთხა. და უწოდა მათ სახელად ადამი მათი შექმნის დღეს.“

თავდაპირველად ადამიანის შექმნის გახსენება ხდება და კიდევ ერთხელ ესმება ხაზი იმას, რომ ის ღვთის ხატად „მამაკაცად და დედაკაცად“ შეიქმნა. ღმერთმა მამაკაცსა და დედაკაცს „ადამი“ უწოდა და გამრავლება დაავალა. ის, რომ ადამიანი ასრულებს გამრავლებისა და მასზე მინდობილი ამქვეყნიური სამყაროს განაშენიანების დავალებას, ქვემოთ ნათლად იქნება ნაჩვენები გენეალოგიური სიის ფორმით (დაბ. 5, 3-32).

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ ადამიანის ორსქესიანობა ეფუძნება ღმერთის

შემოქმედებით ნებას, არამედ კაცისა და ქალის თანასწორობაც. ორივე სქესი ერთად ღვთის ხატს წარმოადგენს, რომლებსაც ერთი და იგივე ღირსება გააჩნიათ. „დაბადების“ თანახმად, ქალის მორჩილება მამაკაცის მიმართ შეიძლება აღინიშნოს როგორც შემოქმედების საწინააღმდეგო და ღვთისათვის არასასურველი. ის კეთილი ღვთიური შემოქმედების ნაწილი არ არის.

მეორე ცნობა შესაქმეს შესახებ

იმდროს, როდესაც შესაქმეს შესახებ პირველ ცნობაში ამქვეყნიური სამყარო განხილულია როგორც ერთი მთლიანობა, ხოლო მისი ჩამოყალიბება ექვს ეპოქად არის დაყოფილი, შესაქმის შესახებ მეორე ცნობა ისტორიის სახით არის წარმოდგენილი მოქმედი პირებით, რომლებიც ერთმანეთზე რეაგირებენ. შიულე ხაზს უსვამს იმას, რომ, მართალია, შესაქმეს შესახებ პირველი ცნობა თავისთავად დასრულებული ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მისი სტრუქტურა „გაგრძელებას“ მოითხოვს. ეს „გაგრძელება“ კი შესაქმეს შესახებ მეორე ცნობაა, მიუხედავად იმისა, რომ ის უფრო ადრეა შედგენილი და სხვა ტრადიციული ხაზიდან მომდინარეობს. მაშასადამე, შესაქმეს შესახებ ორივე ცნობა ერთმანეთისგან იზოლირებული კი არ არის, არამედ ერთ მთლიანობად არის შეკრული. „გადმოცემა ედემის ბაღის შესახებ გაგებულია როგორც კომენტირება, გაღრმავება და კორექტურა იმ გადმოცემისა, სადაც ზოგადად ცოცხალი არსებებისა და განსაკუთრებით ადამიანის შექმნაზეა საუბარი.“1

ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული ის ბიბლიური ტექსტები, რომლებიც ადამიანის შექმნას ეხება:

7და გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად.
18 და თქვა უფალმა: „არაა კარგი ადამიანის მარტოობა! შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე.“
19და გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ყველა ცხოველი მინდვრისა და ყველა ფრინველი ცისა, და მიიყვანა ადამთან, რათა ეხილა, რას უწოდებდა მათ; და რასაც უწოდებდა ადამი ყოველ ცოცხალ არსებას, იგი იქნებოდა სახელი მისი.
არც ერთი არ იყო მისი შესაფერისი შემწე.
21და მოჰგვარა უფალმა ღმერთმა ღრმა ძილი ადამს. და როცა დაეძინა, ამოუღო ერთი ნეკნთაგანი და კვლავ დაფარა ხორცით ის ადგილი.
22 და აუშენა უფალმა ღმერთმა ადამისაგან ამოღებული ნეკნი დედაკაცად, და მიიყვანა იგი ადამთან.
23და თქვა ადამმა: „ეს ძვალი ჩემს ძვალთაგანია, ეს ხორცი ჩემს ხორცთაგანია. და ეწოდა მას დედაკ
20და უწოდა ადამმა სახელები ყველა პირუტყვს, ციურ ფრინველთ და მინდვრის ყველა ცხოველს, მაგრამ აცი, რადგან კაცისგანაა გამოღებული იგი.
24და ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკრობა თავის დედაკაცს. და იქნებიან ისინი ერთ ხორცად.“
25და იყვნენ ორივენი შიშვლები, ადამი და მისი დედაკაცი, და არ რცხვენოდათ.

7-ე მუხლში იმაზეა ლაპარაკი, რომ ადამიანი ღმერთმა მიწისგან შექმნა. ღმერთმა მექოთნესავით გამოძერწა ერთგვარი ფიგურა მიწის მტვრისგან. სახელწოდება ადამს „ამ ადგილას ჯერ კიდევ არა აქვს გამოკვეთილი გენდერული მნიშვნელობა, არამედ უბრალოდ „პროტოპლასტს“ აღნიშნავს 1,4. სიტყვა „ადამი“ „Adamah“-ზე მიუთითებს, დედამიწაზე, ნიადაგზე, რისგანაც ადამიანი შეიქმნა. თვალშისაცემია ის, რომ აქ არ გვხვდება ღვთისხატობის ცნება, რომელსაც დაბ. 1, 27. 28-ში მოცემულ ადამიანის შექმნის ისტორიაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა არსებობს ამის აშკარა ექვივალენტი, კერძოდ ის, რომ ღმერთმა ადამიანს „სიცოცხლის სუნთქვა“ შთაბერა. ფიგურამ, რომელიც ღმერთმა მიწისგან შექმნა, „სიცოცხლის სუნთქვა“ უშუალოდ მისგან მიიღო. ღმერთი ადამიანს მომთხოვნი, შეიძლება ითქვას, ინტიმური ფორმითაც მიმართავს, ისე, როგორც სხვა არც ერთ ქმნილებას. „სიცოცხლის სუნთქვას“, რომელიც ფორმამიცემულმა თიხამ მიიღო, არა მარტო ფიზიკური სიცოცხლისუნარიანობა მოჰყვა შედეგად, რაც ცხოველებისთვისაც არის დამახასიათებელი, არამედ მისი პიროვნულობის ჩამოყალიბების წინაპირობაც შექმნა. „სიცოცხლის სუნთქვა“, ამავე დროს, ღვთის სუნთქვაც არის და, აქედან გამომდინარე, ადამიანის უნიკალურობის საფუძველი შემოქმედებაში. მაშ ასე, „გადმოცემაში ედემის ბაღის შესახებ ადამიანის შექმნაც ღვთისხატობის კონტექსტშია მოცემული.1“ მაშასადამე, ადამიანის განსაკუთრებული ადგილი, მისი მისია, რომ იმოქმედოს შემოქმედებაში, შესაქმის შესახებ მეორე ცნობაშიც ვლინდება. ადამიანი „ცოცხალ არსებად“ იქცევა, იმად, ვისაც შეუძლია და უნდა მოახდინოს მისი გარემოს ფორმირება: „და აიყვანა უფალმა ღმერთმა ადამი და დასვა იგი ედემის ბაღში, რათა დაემუშავებინა და დაეცვა იგი“ (დაბ. 2, 15). „დამუშავება“ და „დაცვა“ კონსტრუქციული საქმიანობანია, ისინი ადამიანმა უნდა განახორციელოს; აქ სახეზეა პარალელები „ბატონობასთან“ მიმართებაში, რომელიც დაბ. 1, 26-შია მოცემული.

18-ე მუხლში დემონსტრირებულია ერთი პრინციპი, კერძოდ ის, რომ ადამიანის ცხოვრება ყოველთვის საზოგადოებაში უნდა მიმდინარეობდეს: „არაა კარგი ადამიანის მარტოობა!“ „შემწე“, რომელიც

ადამიანისათვის უნდა შეიქმნას, მისი შესაფერისი უნდა იყოს. 18-ე მუხლის სიტყვასიტყვითი თარგმანი ასე ჟღერს: „შემწე როგორც მისი მსგავსი“. შიულე იმაზე მიუთითებს, რომ „მისი მსგავსი“, შეიძლება ითქვას, „შემწეს“ კვალიფიცირებას ახდენს: „ადამიანს [...] შემწე უნდა ჰყავდეს, რომელიც არა მხოლოდ მასთან ‘ერთად’ და მის ‘გვერდით’ იქნება, არამედ მისი თანასწორიც იქნება და ადამი მასში საკუთარ თავს შეიცნობს“1 (ამ კონტექსტში შიულე დაბ. 2, 18-სა და დაბ. 2, 26-ს შორის არსებულ ერთ საინტერესო ენობრივ მსგავსებაზე მიუთითებს: „აღსანიშნავია, რომ ძველებრაული გამოთქმა „როგორც მისი მსგავსი“ გრამატიკულად ისევეა აგებული და ისევე ჟღერს როგორც „მის ხატად“, რომელიც დაბ. 1, 26-ში გამოიყენება: ორივე შემთხვევაში საქმე ეხება შესატყვისობისა და მსგავსების განსაკუთრებულ ფორმას, რაც იმ ჩანერგილი პარტნიორისთვის არის დამახასიათებელი, რომელიც მისი მსგავსია).

ამის შემდეგ 19-ე მუხლში მოთხრობილია ცხოველთა შექმნის შესახებ, რომლებიც ადამიანის მსგავსად მიწის მტვრისგან შეიქმნენ. ადამიანის განსაკუთრებულობა შემოქმედებაში მაშინ გამოჩნდა, როცა ღმერთმა ცხოველები მიუყვანა მას, რათა სახელები დაერქმია მათთვის. ადამიანმა სახელები უწოდა ცხოველებს და, ამდენად, შექმნილ სამყაროში წესრიგთა სისტემა ჩამოაყალიბა. თუმცა ცხოველებმა ვერ შეუქმნეს მას ის საზოგადოება და ვერ გაუწიეს ისეთი დახმარება, რომელიც ნამდვილად შეეფერებოდა მას (მუხლი 20).

იმაზე, თუ ვინ შეეფერება ადამიანს, ვინ არის მისი შესაფერისი „მსგავსი“, ლაპარაკია 22-ე და 23-ე მუხლებში. „მსგავსი“ მიწისგან კი არ იქმნება, არამედ ადამიანის ხორცისგან. „ნეკნი“, რისგანაც ქალი შეიქმნა, იმის სიმბოლოს წარმოადგენს, რომ ადამიანის და მისი „მსგავსის“ სხეული ერთგვარი და ერთარსია. შემდეგ ადამიანსა და მის „მსგავსს“ შორის ფიზიკურ ერთობას ესმება ხაზი: „ეს ძვალი ჩემს ძვალთაგანია, ეს ხორცი ჩემს ხორცთაგანია. და ეწოდა მას დედაკაცი, რადგან კაცისგანაა გამოღებული იგი.“ ადამს, კაცს, რომელიც ყოველგვარი სქესობრივი სპეციფიკაციის გარეშე გადიოდა იოლად, ვისშიც, შეიძლება ითქვას, სქესობრიობის პოტენციალი იყო ჩადებული, ახლა უკვე შესწევდა უნარი, „მსგავსში“, რომელიც მისი შესაფერისი იყო, თავის თავი მამაკაცად, ხოლო იგი დედაკაცად შეეცნო და ეწოდებინა მისთვის ქალი. ორივე მათგანს შორის ფიზიკური ერთობა არსებობს, ისინი ერთი და იგივე „მასალისგან“ არიან შექმნილნი. მოსაზრებას, რომ ღმერთის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად კაცსა და ქალს შორის იერარქია გაჩნდა, ამ კონტექსტში ადგილი არა აქვს. უფრო მეტიც, 23-ე მუხლში ადამიანი სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ ამიერიდან მას შესაფერისი „მსგავსი“ ჰყავს.

მაშინ, როცა 23-ე მუხლში კაცისა და ქალის ერთობა ერთნაირ ფიზიკურ მონაცემებს ეფუძნება, 24-ე მუხლში („და ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკრობა თავის დედაკაცს. და იქნებიან ისინი ერთ ხორცად“) ლაპარაკია იმაზე, რომ ქალისა და კაცის ერთობა „ლტოლვის“ საფუძველზე ხორციელდება, ორმხრივი მიზიდულობისა და ერთმანეთზე დამოკიდებულების საფუძველზე. აქ მითითებულია ასევე იმ განსაკუთრებულ ემოციურ ურთიერთობაზე, რომელიც სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის შეიძლება არსებობდეს, და რომელიც გაცილებით უფრო მჭიდროა, ვიდრე ნებისმიერი ნათესაური ურთიერთობა.

შეჯამების სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ მამაკაცისადმი ქალის მორჩილებაზე არც შესაქმის შესახებ მეორე ცნობაშია რამე ნათქვამი. დაბ. 2-ის მიხედვით თავიდან ადამიანი მარტოა, გენდერული სხვაობა ჯერ კიდევ არ არსებობს. მას აკლია არსება, რომელიც მისი მსგავსი იქნება. ადამიანის მარტოობის გადასალახავად ღმერთმა იდენტური ღირსებისა და იდენტური უფლებების მქონე მისი „მსგავსი“ შექმნა. ქალი და კაცი ერთმანეთისთვის შეიქმნენ, იმისათვის, რომ მხარში ამოუდგნენ ერთურთს და ისე იმოქმედონ, რომ მეორემ კარგი და ღვთისათვის მოსაწონი ცხოვრება შეძლოს.

---

1 ანდრეას შიულე: პრეისტორია (გენეზისი 1-11); ციურიხი, 2009 წ.

2 ჰერმან შტინგლჰამერი: თეოლოგიური შემოქმედების შესავალი; დარმშტადტი, 2011 წ.

3 ჰერბერტ ჰააგი: ხელოვნება; ცნობა შესაქმეს შესახებ; ბიბლიის ლექსიკონი; 2-ე გამოცემა აინზიდელნი, ფრაიბურგი, კიოლნი, 1968 წ.

4 „პროტოპლასტ“-ში აქ იგულისხმება ადამიანის თავდაპირველი ფორმა, რომელიც სქესობრივად ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ფოტო:©zatletic - stock.adobe.com

ეკლესიაში ძირითადად შეძლებულ ქალებს ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ მთლიანად საქველმოქმედო საქმიანობისათვის მიძღვნათ თავი.

Foto: © pixs:sell - stock.adobe.com

ფოტოები: Wikimedia Commons

ქალები ადრეულ ეკლესიაში

როგორც ღვთის ხატი, თანასწორნი არიან ქალი და კაცი? ქალების შესახებ მოწმობები ადრეულ ეკლესიაში არც თუ ისე ცოტაა. თუმცა კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რას ამბობენ ისინი ქალის როლზე ეკლესიაში.

ქალის მდგომარეობა ანტიკურ ხანაში, რომაულ-ელინურ ხანაში, სავარაუდოდ მამაკაცის უპირატესობით აღინიშნებოდა, ბერძნულ კულტურაში ეს უფრო ძლიერად იყო გამოხატული, ვიდრე რომაულში. აქედან დასკვნა, რომ ქალის როლის ასახვა არ ხდებოდა, არც ქრისტიან ავტორებთან, როგორიც არის, მაგ., პავლე, თუმცა ის წერდა ქალებზე. ის თავისი ეპოქის შვილი იყო და შესაბამისად კაცსა და ქალს შორის ურთიერთობას განსაზღვრავდა როგორც დაქვემდებარებულ ურთიერთობას. თუმცაღა რეალობა თემებში საკმაოდ მრავალფეროვანი იყო.

ქალები კეისრის ეპოქის რომის იმპერიაში

ადრეული ეკლესიის ეპოქის რომის იმპერიაში ქალები უფრო მეტ უფლებებს ფლობდნენ, ვიდრე სხვა ყველა დანარჩენ კულტურებში. კეისრის ეპოქაში ქალებს იმის შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ საქმეები თავად ეწარმოებინათ და ქონებაც თავად ემართათ. რომაული კანონის მიხედვით გათხოვებას მათ ვერავინ აიძულებდა, უფრო მეტიც, ქმართან გაყრაც შეეძლოთ. მაღალი ფენის ქალებს განათლების მიღების შესაძლებლობაც ჰქონდათ. პირველ საუკუნეში ამ მაღალ სოციალურ ფენაში ქალების ნამდვილი ემანსიპაცია არსებობდა.

ქალები ადრეული ქრისტიანობის ეპოქაში

ახალი აღთქმის წერილებში ქალების სახელებით მოხსენიება იმის ნიშანია, რომ ქალები ადრეულ ეკლესიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ფებე, პრისკა, ნუმფა და ქლოე „საშინაო ეკლესიებს“ ხელმძღვანელობდნენ და საკუთარ თავზე იღებდნენ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ დავალებებს ეკლესიაში. რომაელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე

მოციქული გამორჩეულად ახასიათებს იუნიას: „რომელიც [განთქმულია] მოციქულთა შორის და ჩემზე უწინაც [ირწმუნა] ქრისტე“.

ევსები კესარიელი თავის „საეკლესიო ისტორიაში“ მოგვითხრობს საშინაო ეკლესიების ქალ-წინამძღვრებზე, ქალ-წინასწარმეტყველებზე - ფილიპეს ასულების ტრადიციის მიხედვით -, ქრისტიან მისიონერ ქალებზე და მოწამეებზე, თუმცა ეს ქალები ხშირად ანონიმებად რჩებიან.

ადრეული ეკლესიის კიდევ ერთი ნიშანია ის, რომ სულიერება და მისი თანმდევი სულიერი ავტორიტეტი ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული სასულიერო თანამდებობასთან. რომაელმა სენატორმა პლინიუს უმცროსმა წინამძღვარები კი არ დააპატიმრა და ისინი კი არ გამოიძახა დაკითხვაზე, არამედ ორი ქალი, რომლებიც სულიერ ავტორიტეტებად ითვლებოდნენ ეკლესიაში.

ქალწულობის იდეალი

ამქვეყნიური სამყაროსგან განდგომამ, განდეგილობის იდეალმა, უზანაესისკენ, სულიერისკენ სწრაფვამ და ქვეყნიერების უცილობელი დასასრულის მოლოდინმა არა მარტო ქრისტიანებს მისცა სტიმული, არამედ ბევრი კულტი და სექტაც ჩამოაყალიბა. ამ სურათს ქალწულობის ადრექრისტიანული შეფასებაც შეესაბამება. მეუღლისა და დედის ტრადიციული როლის უარყოფამ ძირითადად შეძლებულ ქალებს მისცა იმის უფლება, რომ მთლიანად საქველმოქმედო საქმიანობისათვის მიეძღვნათ თავი და თავიანთი სულიერი ნიჭები თემებში განევითარებინათ.

თავშეკავება განიხილებოდა როგორც განსაკუთრებული ეთიკური თვისება და სულიერი ცხოვრებისა და ზნეობრივი სრულყოფის გამოხატულებად ითვლებოდა. იმის გამო, რომ ქალწულობა ეკლესიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ახალგაზრდა ქალებისათვის იგი განსაკუთრებით სასურველი იყო, იმპერიის აღმოსავლეთში ქალწულებს სასულიერო პირებსაც კი მიაკუთვნებდნენ.

ქვრივებმისა და დიაკონისების მსგავსად ეკლესიაში ქალწულებმაც შექმნეს საკუთარი კლასი და სახელმძღვანელო ფუნქციებსაც კისრულობდნენ. ადრეული ეკლესიის ზოგიერთ თემში ქალწულები იერარქიულად ორდინირებულ დიაკვან ქალებზე მაღლა იდგნენ. ბერმონაზვნობის ჩამოყალიბებასთან ერთად ქალწულებიც გაქრნენ ეკლესიის ცხოვრებიდან, ამიერიდან ისინი მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

დიაკვან ქალთა მსახურება

ეკლესიაში საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად დიაკონისები, უპ. ყოვლისა, ნათლობის ქალ კანდიდატთა, ზოგიერთ შემთხვევაში კაც კანდიდატთა, რელიგიურ დამოძღვრაზე იყვნენ პასუხისმგებელნი. ქალ-დიაკვნებს თემი ირჩევდა და ნიშნავდა.

4-ე საუკუნის ეგვიპტეში პურისა და ღვინის გადაცემაში ქალ-დიაკვანთა თანამონაწილეობის საკითხი განიხილებოდა. კერძოდ, მათ ავადმყოფებისათვის ნაზიარები პურისა და ღვინის მიტანის უფლება ეძლეოდათ; თუმცა მათი ევქარისტიაში მონაწილეობა გამოირიცხა. 6-ე საუკუნეში ფრანკთა ზოგიერთი ეპისკოპოსი ჯერ კიდევ ახორციელებდა ქალთა ხელდასხმით კურთხევას. თუმცა ამგვარი პრაქტიკა ეკლესიაში დიდხანს აღარ გაგრძელებულა; ორლეანის საეკლესიო კრებამ აუკრძალა ქალებს ეკლესიაში რაიმე ფუნქციის შესრულება. ამ გადაწყვეტილების მიზეზების შესახებ დამარწმუნებელი მითითებანი თითქმის არ არსებობს.

ეკლესიის წესდებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიტურგიის განვითარებამ დიაკვნობის მნიშვნელობის დაკარგვას შეუწყო ხელი. ძლიერი საეკლესიო იერარქიის წარმოშობამ ადგილი აღარ დაუტოვა ადრეული ქრისტიანული თემების ეგალიტარულ ეთოსს.

დასკვნა ადრეულ ეკლესიასთან მიმართებაში

პირველი საუკუნის ადრეულ ეკლესიაში ქალები თემებში და ქრისტიანობის გავრცელების საქმეში უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ვიდრე ოდესმე ისტორიაში. რომის იმპერიის დაცემამ და იმ არეულობამ, რაც ხალხთა გადასახლებას მოჰყვა, წერტილი დაუსვა ამ პროგრესს. განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მკაცრად იერარქიული მამაკაცური სამღვდელოების წარმოშობა განაპირობა და ქალის როლი საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლა.

ქალების წამყვანი როლი ადრეულ ეკლესიაში - ამას შეგვახსენებს ეს სტატია, რომელიც თავდაპირველად გაცილებით გრძელი ვერსიით გამოქვეყნდა ჟურნალ „სპირიტ“-ში, გამოცემა 02/2018 წ. საყოველთაოდ განვითრებული პროცესები საზოგადოებაში - ამ სერიის მომავალ სტატიაში სწორედ ამ თემაზე იქნება საუბარი.

ქრისტე - ჩვენი მომავალი

„წარმოვიდგენ უფალს
ჩემ პირდაპირ
მუდამ, რადგან ჩემს
მარჯვნივ არის,
არ დავეცემი.“

ფსალმ. 15, 8

New Apostolic Church
International